პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 110 (10196) | ოთხშაბათი, 11 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებათა გაუქმების გამო

ამ დღეებში „პრავდაში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულებისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომლებმაც დაკარგეს ძალა იმის შედეგად, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა უხეშად დაარღვიეს ეს ხელშეკრულებანი.

ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი მძიმე ბრძოლის პერიოდში, ავალებდნენ ამ ხელშეკრულებათა მონაწილეებს ერთობლივად ეხმარათ ყველა ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინათ გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა, არ დაედოთ რაიმე კავშირი და მონაწილეობა არ მიეღოთ კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნებოდა ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ცდილობდა დაეცვა და განმტკიცებინა ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები, მიაჩნდა რა, რომ ეს ხელშეკრულებები, რომლებიც განმტკიცებულია საბრძოლო თანამშრომლობით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეესაბამება მათი დამდები სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს და რომ სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის მეგობრობის შენარჩუნება და განვითარება დიდმნიშვნელოვანი წინაპირობაა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა არ გაუწიეს ანგარიში იმის, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას, და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის მეზობლების უშიშროებას, და პირდაპირ დაარღვიეს თავიანთი ვალდებულებანი. მათ დადეს და დაამტკიცეს შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, და შეიერეს მასთან სამხედრო კავშირი, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან ინგლისი გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი შთამაგონებელი და განმახორციელებელია.

ამრიგად, როგორც ინგლისის მთავრობამ, ისე საფრანგეთის მთავრობამ ხაზი გადაუსვა ომის წლებში საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებებს, რის შედეგადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმოს ეს ხელშეკრულებანი, როგორც ძალადაკარგული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში, საეხებით ნათელს ხდიან საქმის ნამდვილ მდგომარეობას და ნიღაბს ხსნიან ყველა იმათ, ვისაც სურს მოატყუოს ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობა, დაუმალოს პარიზის სამხედრო შეთანხმებათა ნამდვილი აგრესიული მიზნები და ამოცანები.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურებამ შექმნა საჭირო პირობები ევროპის სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის მტკიცე სისტემის აგებისათვის. ამ სისტემის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ელემენტი უნდა ყოფილიყო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების თავიდან ასაცილებლად. ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემების სახელმწიფოებს შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ხელშეკრულებათა კეთილსინდისიერად შესრულებისათვის იყო რეალური ბაზა — ურთიერთდაინტერესებულობა იმით, რომ გერმანია განვითარებულიყო მშვიდობიანი გზით. მეცალმეზობლეთ რა ამ ხელშეკრულებათა დადებას, საბჭოთა საზოგადოებრიობა ითვალისწინებდა, რომ მილიტარიზებული აგრესიული გერმანიის არსებობა შეუთავსებელია საფრანგეთისა და ინგლისის ეროვნულ ინტერესებთან, და ამიტომ როგორც ინგლისი, ისე საფრანგეთი ითანამშრომლებდნენ საბჭოთა კავშირთან ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა საზოგადოებრიობას ახსოვდა, რა თქმა უნდა, რომ წარსულში ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები, არ უწევდნენ რა ანგარიშს ევროპის უშიშროების ინტერესებს, აქეზებდნენ ჰიტლერელთა აგრესიას აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ ომის წლებში საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელნი ამტკიცებდნენ, რომ ამ წარსულს ბოლო მოეღო, და არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეინარჩუნონ ანტიჰიტლერული კოალიციის თანამშრომლობა და ფაშიზმის განადგურების შემდეგ საერთო ღონისძიებებით უზრუნველყონ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები იძლეოდნენ ამ დაპირების საქმით დადასტურების ხ.-უკეთესო შესაძლებლობას: ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს შეეძლოთ, თუ დაიცავდნენ თავიანთ ვალდებულებებს, არსებითი წვლილი შეეტანათ გერმანიის მილიტარიზმის საფრთხისაგან ევროპის ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ, როგორც ფაქტებმა დაგვანახვა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ეს წვლილი არ შეიტანეს. ინგლისის მთავრობა ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი იყო იმისათვის, რომ აღიდგინათ გერმანიის მილიტარიზმი და ჩაებათ რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში — ატლანტიკის ბლოკსა და დასავლეთ ევროპის კავშირში. საფრანგეთის მთავრობები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ უკანასკნელი რვა წლის მანძილზე, მიდიოდნენ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების წინაშე კაპიტულაციის გზით, მხარს უჭერდნენ გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის ჩაფუშვის გეზს. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ამ პოლიტიკამ, რომელიც საშიშია მშვიდობის საქმისათვის, თავისი დასრულებული გამოხატულება ჰპოვა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის აქტით.

მოვლენათა ასეთი განვითარების წინაშე საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, უნგრეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა და ალბანეთმა გასული წლის 2 დეკემბერს მოსკოვის თათბირზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ განახორციელონ, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში, ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და მათი სარდლობის ორგანიზაციის დარგში, ისევე როგორც სხვა ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, იმ მიზნით, რომ დაიცვან მათი ხალხების მშვიდობიანი შრომა, უზრუნველყონ მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა, უზრუნველყონ შესაძლო აგრესიისაგან დაცვა. ევროპის ამ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა, რომლებიც ახლა უფრო მჭიდროდ არიან დარაზმული, ვიდრე ოდესმე, განახორციელეს კონსულტაციები, რომლებიც შეეხებოდა, ჯერ-ერთი, აღნიშნულ რვა სახელმწიფოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების საკითხს და, მეორე, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული სარდლობის ორგანიზაციის საკითხს.

ამრიგად, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის გამო, ხსენებული სახელმწიფოები შეთანხმდნენ მოიწვიონ ვარშავაში 11 მაისს მეორე თათბირი იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. ვარშავის თათბირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ამ თათბირზე გაგზავნის თავის მეთვალყურეს.

საფრანგეთის და ინგლისის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია სრულიადაც არ ნიშნავს მათს რატიფიკაციას ფრანგი და ინგლისელი ხალხების მიერ. პროტესტები დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ დღითიდღე ფართოვდება საფრანგეთსა და ინგლისში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში. საფრანგეთის და ინგლისის მილიონობით მშრომელნი მოითხოვენ არ იქნას დაშვებული დასავლეთგერმანელ რევანშისტთა ხელახლა შეიარაღება. ინგლისის უწევს რა მასების განწყობილებას, ამ მოთხოვნას მხარს უჭერს ზოგიერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მოქმედებამ, რომლებმაც ხაზი გადაუსვეს ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. მაგრამ ინგლისის საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა წრეში იზრდება იმის შეგნება, რომ ინგლისი უაღრესად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებით და რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ამ გზაზე უნდა ვეძებოთ. ფრანგ ხალხს, რომელიც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე სამჯერ დაზარალდა გერმანიის აგრესიისაგან, არ შეიძლება არ ესმოდეს მთელი სერიოზულობა მდგომარეობისა, რომელშიც უახლოეს დროში აღმოჩნდება მისი სამშობლო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებით. საბჭოთა საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის მშრომელნი საფრანგეთის მუშათა კლასის მეთაურობით და საფრანგეთის მოსახლეობის სხვა ფენები საბოლოო ანგარიშით შეძლებენ დაიცვან თავიანთი ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთისა და ინგლისის ხალხებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ საბჭოთა ხალხი გაუგებს და მხარს დაუჭერს მათ. საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის პოლიტიკას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესების უზრუნველსაყოფად.

„პრავდის“ 10-V მოწინავე.

ვარშავას გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირზე

10 მაისს მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირზე.

სსრ კავშირის დელეგაციაში შედიან: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ტ. მაზუროვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. გედვილასი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. მეურისები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო.

იმავე დღეს სსრ კავშირის დელეგაცია ჩავიდა ვარშავაში. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე

დეკლარაცია

გენერალურ ასამბლეას, შეგნებული აქვს რა დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეკისრება ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისათვის, თავის მოვალეობად მიაჩნია ყველა სახელმწიფოს ყურადღება მიაქციოს იმ მდგომარეობას, რომელიც იქმნება სახელმწიფოების ურთიერთობაში ამჟამად.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხალხები, რომლებმაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ განიცადეს მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ადამიანთა მძიმე მსხვერპლი და უდიდესი მატერიალური ნგრევა გამოიწვია, იჩენენ შეუდრეკელ მისწრაფებას მშვიდობისადმი.

ხალხთა ამ დიდ მისწრაფებას მშვიდობისადმი უკვე მოჰყვა ის, რომ მოხერხდა ბოლო მოღებოდა სისხლისღვრას კორეასა და ინდოჩინეთში და ამით შექმნილიყო უფრო ხელსაყრელი პირობები სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის.

ამასთან ერთად, ხალხები იჩენენ კანონიერ შეშფოთებას მშვიდობის ბედისათვის განსაკუთრებით იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ევროპასა და აზიაში იქმნება. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის ამასწინანდელი კონფერენციის გადაწყვეტილებებით, კონფერენციისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ვითარება მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში ამჟამად არათუ არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, რთულდება, სახელმწიფოებს შორის ურთიერთუნდობლობა ძლიერდება. სახელმწიფოების ურთიერთობაში საჭირო ნდობის უქონლობა მთავარი მიზეზია, რომელიც ხელს უშლის გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებას როგორც ევროპაში, ისე აზიაში.

ეს ეხება უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოების ურთიერთობას, რომლებსაც ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვისათვის.

მიუხედავად ვალდებულებებისა, რომლებიც იკისრეს დიდმა სახელმწიფოებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ითანამშრომლონ მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაცვის საქმეში, მათი ურთიერთობა არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს. უნდობლობას სახელმწიფოების ურთიერთობაში მოჰყვა ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა ახალი ომის, თავისი შედეგებით კიდევ უფრო მძიმე ომის საფრთხე.

ამ უნდობლობის შედეგად, და უწინარეს ყოვლისა უნდობლობისა იმ სახელმწიფოების ურთიერთობაში, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, სულ უფრო დიდი მასშტაბით წარმოიქმნა გამალებული შეიარაღება, განუწყვეტლივ იზრდებიან არმიები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სამხედრო ავიაცია. მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მიღწევები ხმარდება ადამიანთა ჟლეტის ყველაზე დამანგრეველ საშუალებათა წარმოებას. განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მიიღო გამალებულმა შეიარაღებამ ისეთ საშიშ სახეობათა იარაღის წარმოების დარგში, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი.

იქმნება უცხოეთის მრავალი სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, რაც იწვევს იმ საჰელმწიფოთაგან კანონიერ შეშფოთებას, რომელთა ახლოს ქმნიან ამ ბაზებს. ასეთი ბაზების მოწყობა სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის აგრეთვე იმ სახელმწიფოთა უშიშროებას, რომელთა ტერიტორიაზეც ქმნიან ამ ბაზებს. ასეთი ბაზების არსებობა, რომელთაგან ბევრს იყენებენ ატომური ომის მომზადებისათვის, რასაც ზოგიერთი სახელმწიფო ეწევა, კიდევ უფრო აძლიერებს უნდობლობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში და ადიდებს საერთაშორისო დაძაბულობას.

ყოველივე ამას მოჰყვა ის, რომ მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო იმყოფება ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ მდგომარეობაში, ხოლო სახელმწიფოების საომარი მზადება სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს.

მიუხედავად ომისა, რომ 1947 წელს გენერალურმა ასამბლეამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გმობდა ყოველგვარი ფორმის პროპაგანდას, „რომლის მიზანია ან რომელსაც შეუძლია შექმნას ან გააძლიეროს საფრთხე მშვიდობისადმი, მშვიდობის დარღვევა ან აგრესიის აქტი“, მთელ რიგ სახელმწიფოებში წარმოიქმნა ახალი ომის აშკარა პროპაგანდა. არათუ არ წყდება, არამედ სულ უფრო ხშირდება ომისათვის მოწოდება პრესაში, რადიოში, საჯარო გამოსვლებში. ამასთან განსაკუთრებით გახშირდა ამ ბოლო დროს ატომური ომისათვის მოწოდება.

დარღვეულია წინათ ბევრ სახელმწიფოს შორის არსებული ტრადიციული ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა მრავალი წლის მანძილზე, ამ დარღვევიდან გამომდინარე მთელი უარყოფითი შედეგებით საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას, გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცებისათვის. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო მოეღება „ცივ ომს“, თუ შეწყდება ახალი ომის პროპაგანდა, რომელიც ზოგიერთ სახელმწიფოში წარმოებს და რომელსაც თან ახლავს ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივება და ერთი ხალხის მეორისათვის წასისიანება.

ზოგიერთ სახელმწიფოში წარმოებული პროპაგანდის განგრძობას, რომლის მიზანია ომის ისტერიის გაღვივება, და ომისათვის მოწოდებებს შეუძლიათ მხოლოდ გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა და ურთიერთუნდობლობა სახელმწიფოებს შორის და ამით გააძლიერონ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.

პირიქით, სახელმწიფოებს შორის „ცივი ომის“ მდგომარეობის შეწყვეტა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, საერთაშორისო ურთიერთობაში საჭირო ნდობის შექმნას, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას და პირობების შექმნას ხალხთა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრებისათვის. ეს თავის მხრივ შექმნიდა საჭირო პირობებს განიარაღების ფართო პროგრამის განხორციელებისათვის ამ პროგრამის შესრულებაზე საჭირო საერთაშორისო კონტროლის დაწესებით.

ამ მიზნით გენერალური ასამბლეა:

1. **ურჩევს** ყველა სახელმწიფოს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მტკიცედ შესრულდეს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება, რომელიც გმობს ახალი ომის პროპაგანდის ყოველ ფორმას, შეწყდეს ომისათვის და ხალხთა შორის მტრობის გაღვივებისათვის ყოველგვარი მოწოდება პრესაში, რადიოში, კინოში, საჯარო გამოსვლებში. ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობა მიჩნეული იქნება იმად, რომ სახელმწიფომ დაარღვია თავისი საერთაშორისო მოვალეობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი — თავი შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისაგან, არ დაუშვას რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის დარღვევა.

2. **კმაყოფილებით აღნიშნავს** წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია დაინტერესებული სახელმწიფოების მოლაპარაკებაში კორეის საკითხზე, რასაც მოჰყვა კორეაში ომის შეწყვეტა, აგრეთვე ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხზე. ამით აღმოიფხვრა ომის ორი საშიში კერა შორეულ აღმოსავლეთში.

დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად შესაძლო გახდა აგრეთვე მოწესრიგდეს საკითხი ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ავსტრიის აღდგენას. ავსტრიის საკითხის მოწესრიგება არის ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში და ხელს უწყობს პირობების შექმნას იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას სხვა მოუწესრიგებელი ომისშემდგომი პრობლემები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის გამოყენებული შესაძლებლობანი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების გზით მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის.

3. **თვლის**, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოებს შორის საჭირო ნდობის შექმნას შეესაბამება ის, რომ ოთხმა სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ მათი საოკუპაციო ჯარები გერმანიის ტერიტორიიდან თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში გარდა ჯარების მტკიცედ განსაზღვრული კონტინგენტებისა, რომლებიც დროებით დარჩებიან გერმანიის ტერიტორიაზე, სანამ დიდებოდეს შეთანხმება მათი სრული გაყვანის შესახებ. ამ მიზნების შესაბამისი იქნებოდა აგრეთვე ადგილობრივი პოლიციური ძალების მტკიცედ განსაზღვრული კონტინგენტების დაწესება გერმანიის ორივე ნაწილში და ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი კონტროლის დაწესება შესაბამისი შეთანხმების შესრულებისადმი.

გენერალური ასამბლეა მიესალმება ყოველ სხვა ნაბიჯს, რომელიც ოთხმა სახელმწიფომ შეიძლება გადადგას გერმანიის ტერიტორიიდან თავიანთი ჯარების გაყვანის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაადვილდეს გერმანიის პრობლემის გადაჭრა ევროპის უშიშროებისა და გერმანიის როგორც ერთიანი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული გაერთიანების ინტერესებისათვის.

4. **საჭიროდ თვლის**, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, მიაღწიონ შეთანხმებას სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ და შედეგები აცნობონ უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას. ასეთ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდობლობის აღმოფხვრისათვის და იგი ხელს შეუწყობდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნას.

5. **მოუწოდებს** სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ატომური მასალებისა და ატომის ენერგიის წარმოების დარგში, ფართო საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება გაუწიონ სხვა ქვეყნებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ისე, რომ ასეთი დახმარების გაწევა არ განაპირობონ რაიმე პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის მოთხოვნებით.

6. **მოუწოდებს** დაინტერესებულ სახელმწიფოებს მოაწესრიგონ შორეულ აღმოსავლეთში გადაუწყვეტელი საკითხები სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად, რამდენადაც შორეული აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში არსებული დაძაბული მდგომარეობა შეიცავს ახალი ომის საშიშროებას და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის.

7. **საჭიროდ ცნობს**, რომ სახელმწიფოებმა თავიანთ ეკონომიურ ურთიერთობაში აღმოფხვრან ყოველგვარი დისკრიმინაცია, რომელიც ხელს უშლის მათ შორის ფართო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას, და უწინარეს ყოვლისა ვაჭრობის დარგში. ისეთი მდგომარეობა, როცა შეწყვეტილი აღმოჩნდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული სავაჭრო ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, ზიანს აყენებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინტერესებს. ამგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ურთიერთსარგებლობის პრინციპზე დამყარებული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის ფართოდ განვითარება ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე ამ დაბრკოლებათა აღმოუფხვრელად შეუძლებელია იმედი ვიქონიოთ, რომ მიღწეული იქნება საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის ნამდვილი შენელება.

ურთიერთგაგების გაუმჯობესებისა და ხალხთა დაახლოების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა აგრეთვე საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის გაფართოება, კერძოდ დელეგაციების ფართოდ გაცვლისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთ გამგზავრების გზით, სტუდენტთა დელეგაციების გაცვლისა და ტურიზმის განვითარების გზით.

8. **ადგენს** შეიტანოს თავისი მორიგი სესიის დღის წესრიგში სახელმწიფოების მიერ ამ დეკლარაციის დებულებათა შესრულების შედეგების საკითხი, მხედველობაში აქვს რა, რომ მათი განხორციელება შეესაბამება ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის შექმნას, და ამით გააადვილებს განიარაღების ფართო პროგრამის განხორციელებას და ამ პროგრამის შესრულებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ

გენერალური ასამბლეა (უშიშროების საბჭო), **ცდილობს** რა იხსნას კაცობრიობა ახალი გამანადგურებელი ომისაგან, შეასუსტოს დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, გაათავისუფლოს ხალხები მძიმე საგადასახადო ტვირთისაგან, რომელიც მათ აკისრიათ გამალებული შეიარაღების გამო, რაც კვლავ გრძელდება,

სურს რა უზრუნველყოს იმის შესაძლებლობა, რომ განთავისუფლებული რესურსები გამოყენებულ იქნას ხალხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ფართო დახმარების გასაწევად,

ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას შეიმუშაოს და უშიშროების საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი „საერთაშორისო კონვენციისა (ხელშეკრულებისა) შეიარაღების შემცირების და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე“.

ასეთი კონვენცია, რომლის მიზანი იქნება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, უნდა ითვალისწინებდეს:

a) როგორც ატომგულის იარაღის, ისე მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღის გამოყენებისა და წარმოების სრულ აკრძალვას, აგრეთვე ატომგულის იარაღის არსებული მარაგის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნით;

b) მთელი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის მთელი შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას;

c) საკონტროლო ორგანოს შექმნას სათანადო უფლებებით, რწმუნებებითა და ფუნქციებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სახელმწიფოს მიმართ შეთანხმებულ აკრძალვათა და შემცირებათა თანაბრად ეფექტიან დაცვას.

ამის შესაბამისად კონვენცია (ხელშეკრულება) უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოყვანილ ძირითად დებულებებს, რომლებიც შეეხება ღონისძიებათა განხორციელებას სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის დარგში, აგრეთვე ორი პერიოდის განმავლობაში ამ ღონისძიებათა განხორციელების წესს.

პირველი პერიოდი — ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1956 წლის განმავლობაში

1956 წლის განმავლობაში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

1. კონვენციის (ხელშეკრულების) მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას როგორც პირველ ნაბიჯს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გზაზე, არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება 1954 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების დონის წინააღმდეგ. ისინი კისრულობენ აგრეთვე ვალდებულებას არ გაადიდონ თავიანთი ასიგნობანი შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებაზე, მათ შორის ატომურ იარაღზე, იმ ხარჯების დონის წინააღმდეგ, რაც გაწეული იყო ამ მიზნით წლის განმავლობაში, რომელიც დამთავრდა 1954 წლის 31 დეკემბერს.

აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელდება სათანადო შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან ორი თვის განმავლობაში.

ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, ჩინეთი,

საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

(დასასრული).

ერების ორგანიზაციის წევრები არ არიან, რათა განისაზღვროს სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ოდენობა და ატომური იარაღის აკრძალვა.

იმ შეიარაღებული ძალების რიცხვი, რომელთა შენახვა ნებადართული იქნება სხვა სახელმწიფოებისათვის, ყველა შემთხვევაში გაცილებით ნაკლები უნდა იყოს იმ დონეზე, რომელიც დაწესებულია უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისათვის.

სახელმწიფოების, მათ შორის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შეიარაღების შემცირების ოდენობის დაწესებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მარტივი შეთანხმებული კრიტერიუმები, რომლებიც შეიცავენ დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება და აგრესიის საფრთხის შემცირება.

4. შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პროგრამის განხორციელებაში ერთ-ერთი პირველი რიგის ღონისძიების სახით სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ატომური და წყალბადის იარაღი, კისრულობენ ვალდებულებას შეწყვიტონ ამ სახეობათა იარაღის გამოცდა.

სახელმწიფოების მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისათვის თვალყურის სადევნებლად არსდება საერთაშორისო კომისია, რომელმაც უნდა წარუდგინოს მოხსენებანი უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას.

5. დაწესებულ დონემდე შეთანხმებული შემცირების პირველი 50 პროცენტით ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად სახელმწიფოები, სანამ ძალაში შევიდოდეს შეთანხმება ატომური იარაღის სრული აკრძალვის შესახებ, საქვეყნოდ კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი, რომელიც თავისთვის აკრძალულად მიიჩნიათ. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დაშვებულ იქნას აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, როცა მიღებული იქნება უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

6. სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, კისრულობენ ვალდებულებას მოსპონ ეს ბაზები.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ბაზები უნდა მოისპოს პირველი პერიოდის განმავლობაში, დამატებით უნდა იქნას შეთანხმებული.

ამ ღონისძიებათა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოებს შორის საჭირო ნდობის განმტკიცებას და გააადვილოს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის იმ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია მეორე პერიოდისათვის.

მეორე პერიოდი — ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება 1957 წლის განმავლობაში

1957 წლის განმავლობაში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაუყოვნებლივ შეწყდება ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება და შესაბამისად შემცირდება სახელმწიფოთა საბიუჯეტო ასიგნობები სამხედრო საჭიროებისათვის.

2. ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, ჩინეთი, ინგლისი და საფრანგეთი წლის განმავლობაში შეამცირებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებას იმ განსხვავების დანარჩენი 50 პროცენტით, რომელიც არის მათი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების 1954 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ დონესა და თვითეული ამ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებულ დონეს შორის, რომელიც დადგენილია მათ მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა თანახმად. შესაბამისად, ეს სახელმწიფოები შეამცირებენ თავიანთ ასიგნობებს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისათვის.

ამ პერიოდის განმავლობაში მთავრდება აგრეთვე სხვა სახელმწიფოების შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების იმ ოდენობით შემცირების ღონისძიებანი, რომლებსაც მათთვის დაწესებს მსოფლიო კონფერენცია.

3. მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება განხორციელდება კონვენციით გათვალისწინებული მათი შემცირების საერთო ოდენობის 75 პროცენტით, ძალაში შევა ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების სრული აკრძალვა. სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ამ იარაღის ამოღება და მისი მოსპობა, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება შემცირების შეთანხმებული ოდენობის უკანასკნელი 25 პროცენტით დაიწყება ერთსა და იმავე დროს; ამასთან ორივე პროცესი დამთავრდება ზღვრული ვადების განმავლობაში 1957 წელს. მთელი ატომური მასალა მაშინ გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით.

სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის დაწესებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. ეს თანამშრომლობა შეეხება აგრეთვე იმ ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, რომელიც ეხება ატომის ენერგიის გამოყენებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში და ეკონომიკისა და მეცნიერების სხვა დარგებში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დახმარების გაწევას ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის. ასეთი დახმარების გაწევა არ უნდა იყოს განპირობებული პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის რაიმე მოთხოვნით.

სახელმწიფოები შეეცდებიან, რომ იმ დანაზოგის ნაწილი, რომელიც შეიქმნება მსოფლიო მასშტაბით განიარაღებისა და ატომგულის იარაღის ამოღების შედეგად, მოახმარონ ატომის ენერგიის ფართოდ გამოყენებას მშვიდობიანი მიზნით.

4. მთავრდება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოეთის ყველა სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელების შემდეგ საჭიროა სახელმწიფოებმა შემდგომ შეამცირონ მათი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები იმ დონემდე, რაც აუცილებლად საჭიროა საშინაო უშიშროების დაცვისათვის და იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებსაც მათ აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

ჩინეთის, როგორც უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრის, იმ ვალდებულებათა საკითხი, რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციიდან შეიარაღების შემცირების და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის შესახებ

აღიარებს რა, რომ დიდმნიშვნელოვანი და საჭიროა დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი სახელმწიფოების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებისადმი, რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციიდან შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ,

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ა ს ა მ ბ ლ ე ა აღნიშნავს, რომ ამჟამად არ არის საჭირო პირობები ისეთი კონტროლის დასაწესებლად, რომელიც სარგებლობდეს ყველა სახელმწიფოს ნდობით და სავსებით შეესაბამებოდეს საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ამჟამად არსებობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო დაძაბულობა და უნდობლობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა შორის შექმნილი უნდობლობის ვითარებაში იქმნება ყოველგვარი დაბრკოლება იმაშიც კი, რომ ურთიერთ გაცვალონ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, მეცნიერული, კულტურული და სხვა დელეგაციები. ასეთი მდგომარეობა აძნელებს იმის შესაძლებლობას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა თავიანთ საწარმოებში, განსაკუთრებით სამხედრო წარმოებაზე მომუშავე საწარმოებში, დაუშვან უცხოელი კონტროლიორები, რომლებსაც შეეძლებათ განახორციელონ საწარმოთა ინსპექცია.

არსებულ ვითარებაში, როცა ბევრი სახელმწიფო კანონიერ შეშფოთებას იჩენს თავისი უშიშროებისათვის, ძნელია იმის იმედი, რომ ეს სახელმწიფოები ნდობით შეუქმნიან სხვა სახელმწიფოებს თავის იმ სამრეწველო ან სხვა რესურსებთან დაშვების შესაძლებლობას, რომლებსაც სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მათი უშიშროებისათვის.

რამდენადაც ამჟამად არ არსებობს საჭირო ნდობა სახელმწიფოთა შორის, შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც საერთაშორისო კონტროლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ნამდვილად გადაიქცევა უბრალო ფორმალობად, რომელიც მიზანს ვერ მიაღწევს. ეს მით უმეტეს დაუშვებელია, რომ ახლანდელ პირობებში მშვიდობისმოყვარე ხალხებს ყველაზე მეტი შიში აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს ატომური და წყალბადის იარაღი, რომლის მიმართ საერთაშორისო კონტროლის დაწესება განსაკუთრებით ძნელია.

ასეთი შიში გამომდინარეობს ატომის წარმოების თვით ხასიათიდან. კარგად ცნობილია, რომ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოება შეიძლება გამოყენებულ იქნას ფეთქებადი ატომური მასალების მარაგის დასაგროვებლად, ამასთან სულ უფრო მეტი და მეტი რაოდენობით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ატომის ენერგიის მწარმოებელი საწარმოები, შეუძლიათ, შესაბამის შეთანხმებათა დარღვევით, დაგროვონ დიდძალი ფეთქებადი მასალა ატომური იარაღის წარმოებისათვის. ასეთი მდგომარეობის საშიშროება მით უფრო გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სათანადო რაოდენობით ფეთქებადი ატომური მასალების არსებობისას თვით ატომური და წყალბადის ბომბების წარმოება ტექნიკურად სავსებით ხელმისაწვდომი საქმეა და შეიძლება განხორციელდეს ფართო მასშტაბით.

ამრიგად, არსებობს შესაძლებლობანი, რომლებიც არ ექვემდებარებიან საერთაშორისო კონტროლს, გვერდი აევლოს ამ კონტროლს და მოეწყოს ატომური და წყალბადის იარაღის ფარული წარმოება მაშინაც კი, როცა არსებობს ფორმალური შეთანხმება საერთაშორისო კონტროლის შესახებ. ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლება გარანტირებულ იქნას იმ სახელმწიფოთა უშიშროება, რომლებმაც ხელი მოაწერეს საერთაშორისო კონვენციას, რამდენადაც პოტენციური აგრესორისათვის შეიქმნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ დაგროვოს ატომური და წყალბადის იარაღის მარაგი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე უეცარი ატომური თავდასხმისათვის.

ყოველ შეთანხმებას საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, სანამ არ შეიქმნება ნდობის ატმოსფერო სახელმწიფოთა ურთიერთობაში, შეუძლია მხოლოდ მიაძინოს ხალხთა სიფხიზლე. მას შეუძლია შექმნას უშიშროების ყალბი გრძნობა, მაშინ როცა სინამდვილეში იარსებებს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების საფრთხე და ამით უეცარი თავდასხმისა და ატომური ომის გაჩაღების საფრთხეც ყველა მისი უმძიმესი შედეგით ხალხებისათვის.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს აგრეთვე იმას, რომ ახალი ომის მომზადება, რომლის საფრთხე ზევრად გაიზარდა ატომური და წყალბადის იარაღის გამოჩენასთან დაკავშირებით, გარდუვალად დაკავშირებულია იმის აუცილებლობასთან, რომ გარკვეულ პუნქტებში თავი მოუყარონ დიდ სამხედრო შენაერთებს დიდძალი ჩვეულებრივი შეიარაღებით: თვითმფრინავებით, არტილერიით, ტანკებით, სამხედრო-საზღვაო ხომალდებით და სხვ. სახმელეთო შეიარაღებული ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სამხედრო ავიაციის დიდი კონცენტრაციების ასეთი კონცენტრაცია და მათი გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დიდი საკვანძო პუნქტების, ნავსადგურებისა და აეროდრომების საშუალებით. ასეთი პუნქტების მნიშვნელობა აგრესიული ომის მომზადებისათვის არათუ არ მცირდება თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში, არამედ, პირიქით, იზრდება.

ატომურ და წყალბადის იარაღთან ერთად, მთელი მისი დამანგრეველი ძალის მიუხედავად, ომის წარმოშობის შემთხვევაში, საომარ მოქმედებაში აუცილებლად ჩაებმებიან მრავალმილიონიანი არმიები და დიდძალი ჩვეულებრივი შეიარაღება, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ყველა დიდი ომის შედეგისათვის.

ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ საკითხის გადაჭრისას, რომ დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი სახელმწიფოების მიერ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისადმი, რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციიდან შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა და საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლებებისა და რწმუნებების საკითხი საჭიროა, ამრიგად, განხილულ იქნას ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელებასთან მჭიდრო კავშირით, რომლებიც შეეხება საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას და შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის სხვა ღონისძიებათა განხორციელებას.

ზემოთქმულის მიხედვით,

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ა ს ა მ ბ ლ ე ა ქმნის საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს შემდეგი უფლებებითა და რწმუნებებით:

1. **შ ე ი ა რ ა ღ ებ ი ს შ ე მ ც ი რ ებ ი ს ა დ ა ა ტ ო მ უ რ ი ი ა რ ა ღ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ებ ა თ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ებ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს ა თ ვ ი ს.**

a) რათა თავიდან აცილებულ იქნას ერთი სახელმწიფოს უეცარი თავდასხმა მეორე სახელმწიფოზე, საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ყველა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოაწყობს ურთიერთ საწყისებზე საკონტროლო საგუშაგოს დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე. ასეთი საგუშაგოების ამოცანაა თვალყური ადევნონ იმას, რომ არ ხდებოდეს სამხედრო-სახმელეთო ძალების, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების საშიში კონცენტრაცია.

b) საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლება ექნება მოსთხოვოს სახელმწიფოებს საჭირო ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

c) საკონტროლო ორგანოს უფლება ექნება დაუბრკოლებლად გაეცნოს მასალებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოების საბიუჯეტო ასიგნობებს სამხედრო საჭიროებისათვის, მათ შორის სახელმწიფოების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას ამ საკითხზე. სახელმწიფოები პერიოდულად, დაწესებულ ვადებში წარუდგენენ საკონტროლო ორგანოს ცნობებს კონვენციით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

2. **შ ე ი ა რ ა ღ ებ ი ს შ ე მ ც ი რ ებ ი ს ა დ ა ა ტ ო მ უ რ ი ი ა რ ა ღ ი ს ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ებ ა თ ა გ ა ნ ხ ო ც ი ე ლ ებ ი ს მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი ს ა თ ვ ი ს.**

ზემოთ მოყვანილ დეკლარაციაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა, აგრეთვე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი პერიოდისათვის, შექმნის ნდობის საჭირო ატმოსფეროს სახელმწიფოებს შორის. ამით უზრუნველყოფილი იქნება საჭირო პირობები საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ფუნქციების გაფართოებისათვის.

ამ პირობებში საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ექნება შემდეგი უფლებები და რწმუნებანი:

a) განახორციელოს კონტროლი, მათ შორის ინსპექცია მუდმივ საფუძველზე, იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოს აღნიშნული კონვენციის შესრულება ყველა სახელმწიფოს მიერ. საერთაშორისო საკონტროლო ორგანო განახორციელებს ამ ფუნქციებს, ისარგებლებს რა აგრეთვე უფლებით მოსთხოვოს სახელმწიფოებს საჭირო ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

ინსპექციის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება საერთაშორისო საფუძველზე შერჩეული პერსონალი.

b) იყოლიოს მუდმივად ყველა ქვეყანაში, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას, ინსპექტორთა თავისი შტატი, რომლებსაც მათ მიერ კონტროლის ფუნქციების განხორციელების ფარგლებში ყოველ დროს დაუბრკოლებლად შეეძლებათ გაეცნონ კონტროლის ყველა ობიექტს.

რათა თავიდან აცილებულ იქნას ერთი სახელმწიფოს უეცარი თავდასხმა მეორე სახელმწიფოზე, საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს, კერძოდ, ყველა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ექნება ურთიერთ საწყისებზე საკონტროლო საგუშაგოები დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებზე, ავტომაგისტრალებზე, აეროდრომებზე.

c) საკონტროლო ორგანოს უფლება ექნება დაუბრკოლებლად გაეცნოს მასალებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა საბიუჯეტო ასიგნობებს სამხედრო საჭიროებისათვის, მათ შორის სახელმწიფოების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას ამ საკითხზე. სახელმწიფოები პერიოდულად, დაწესებულ ვადებში წარუდგენენ საკონტროლო ორგანოს ცნობებს კონვენციით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

3. საკონტროლო ორგანო აძლევს რეკომენდაციებს უშიშროების საბჭოს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის დამრღვევთა მიმართ გაფრთხილებისა და აღკვეთის ღონისძიებებზე.

4. ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე უნდა დაზუსტდეს მუდმივი საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს ფუნქციები და რწმუნებანი და ამ მიზნით შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუქცია.

საბჭოთა მთავრობის ზემოთ მოყვანილი წინადადება სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის განსახილველად ლონდონში 1955 წლის 10 მაისს.

დარგაზოგა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოში

9 მაისს საღამოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკმა დარბაზობა გაიმართა სამინისტროთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 10 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის მინისტრები: ს. ფ. ანტონოვი, პ. ი. ანტროპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ნ. პ. ბეშჩეევი, ფ. დ. ვარაკინი, პ. ნ. გორემიკინი, კ. პ. გორშენინი, პ. ვ. დემენტიევი, ნ. ა. დიგაი, მ. ა. ევსეევკო, ვ. პ. ელიუტინი, ვ. გ. ჟავორონკოვი, ა. ნ. ზადემიდკო, ა. გ. ზვერევი, ი. გ. კობანოვი, ნ. ს. კაზაკოვი, ე. ფ. კოტეგნოვი, ლ. რ. კორნიეცი, ა. ი. კოსტოუსოვი, ი. ა. ლიხაჩოვი, ფ. გ. ლოგინოვი, პ. ფ. ლომაკო, ლ. გ. მელნიკოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ი. ი. ნოსენკო, გ. მ. ორლოვი, დ. ვ. პავლოვი, პ. ი. პარშინი, ნ. დ. პსურცევი, დ. ი. რაიზერი, ნ. ს. რიეოვი, ი. ტ. სკიდანენკო, ს. მ. ტიხომიროვი, დ. ფ. უსტინოვი, ზ. ა. შაშკოვი, ა. გ. შერემეტიევი, პ. ა. იუდინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შებილოვი, გაზეთ „კრასნაია ზვეზდის“ მთავარი რედაქტორი ვ. პ. მოსკოვსკი, გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორი ბ. ს. ბურკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები: ს. მ. ბუდიონი, ვ. დ. სოკოლოვსკი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები: ი. გ. ბოლშაკოვი, ს. ა. ბორისოვი, დ. ს. ბუზინი, ი. დ. ზლობინი, ვ. ა. ზორინი, ნ. ნ. კალმიკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ს. კემენოვი, პ. ნ. კუმიკინი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ა. ი. ნაზაროვი, მ. ა. პროკოფიევი, ნ. ნ. პტიჩკინი, ვ. ს. სემონოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები მ. ვ. ზიმიანინი, ლ. ფ. ილიჩოვი, ს. პ. კოზირევი, მ. ა. კოსტიჩევი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაროვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, არტილერიის მარშალი ს. ს. ვარენცოვი, კავშირგაბმულობის ჯარების მარშალი ი. ტ. პერესიპკინი, არმიის გენერლები: ვ. ვ. კურასოვი, გ. კ. მალანდინი, მ. ს. მალინინი, ადმირალები: ნ. ი. ვინოგრადოვი, ს. ე. ზახაროვი, გ. ი. ლევჩენკო, გენერალ-პოლკოვნიკები: ი. პ. გალიცკი, ა. ს. ჟადოვი, ა. ს. ჟელტოვი, თ. თ. კუზნეცოვი, პ. ა. კუროჩკინი, გ. ფ. ოდინცოვი, ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. ფ. ჟავორონკოვი, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ა. ა. სურკოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ა. მ. გერასიმოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, პრაღისათვის ბრძოლების მონაწილენი პოლკოვნიკები: ი. მ. ელაგინი, ა. ი. ზარაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. მარეკი, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი ი. ტესლა, პრაღის კარლოვის უნივერსიტეტის რექტორი ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. დოლანსკი, ბრატისლავის უნივერსიტეტიდან აკადემიკოსი ა. მრაზი.

დარბაზობაზე სტუმრებს შორის იყვნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: ბირმის კავშირისა — მონგ ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, იტალიის რესპუბლიკისა — მ. დი სტეფანო, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. ლევიკოვსკი, ინდოეთის რესპუბლიკისა — კ. პ. შ. მენონი, არგენტინისა — ლ. ბრავო, ნიდერლანდისა — ე. ტეიქსეირა დე მატოსი, ავსტრიისა — ნ. ბიშოფი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — დ. ვიდიჩი, დიდი ბრიტანეთისა — უ. ჰეიტერი, სპერძნეთისა — ა. დ. კონტუმასი, მექსიკისა — ა. როზენცვეიგ დიასი, ავღანეთისა — გ. ი. ტარზი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ტ. ლუკანოვი, ნორვეგიისა — ე. ბროდლანდი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. რიზი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლიუ სიაო, ისრაელის სახელმწიფოსი — ი. ავიდარი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები — ლუქსემბურგისა — რ. ბლუმი, ეთიოპიისა — გ. ზალაკა, ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრა, შვეიცარიისა — ე. დ. ჰალერი, სირიისა — ფ. ხანი, ლიბანისა — ა. ნაჯარი, დანიისა — ა. მერკი; დროებითი საქმეთა რწმუნებულნი: ეგვიპტისა — მ. ა. ს. ხედაია, ირანისა — ა. ეტესამი, პაკისტანისა — მ. ახმადი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. კოვაჩი, ფინეთისა — ი. ხალამა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — კ. ზეიცი, შვეიცარიისა — ს. ფონ ეილერ-შელპინი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლ. ტოიბო, ბელგიისა — ე. დეკასტეო-ჰიუგო, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ტო კუანგ დაუ.

დარბაზობის დროს წარმოითქვა სიტყვები.

დარბაზობამ გულითად, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენცია

10 მაისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ დელეგატები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან. სხდომათა დარბაზში მრავალი უცხოელი სტუმარია.

კონფერენცია გახსნა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ტიხონოვმა. პრეზიდიუმის, სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და ხალხთა ბრძოლა მშვიდობის დასაცავად.

2. საბჭოთა დელეგაციის არჩევნები ჰელსინკის მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე.

3. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის არჩევნები.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობის დასაცავად ხალხთა ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ა. ე. კორნეიჩუკმა. (საკდესი).

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის გენერალური მდივნის დეპეშა

როგორც საბჭოთა პრესა 17 და 18 აპრილს იუწყებოდა, აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელთა ბანდუნგის (ინდონეზია) კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით, უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მისამართით გამოგზავნა სალამურო დეპეშები, რომლებითაც მადლობა გადაიხადა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციისადმი გულთბილი სურვილისათვის. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ვ. შიროკის მოხსენებაა

პრაღა, 8 მაისი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-10 წლისთავის აღსანიშნავად დღეს პრაღის კრემლში შედგა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთავრობისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა.

დარბაზში მყოფნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ზაპოტოცკის, პრემიერ-მინისტრის ვ. შიროკის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. ნოვოტნის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის . პოლიტბიუროს წევრების, ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელების გამოჩენას სხდომის პრეზიდიუმში.

დარბაზში გაისმის მქუხარე ოვაციები დიდი საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ხალხთა სამარადისო ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, როცა პრეზიდიუმში ადგილს იკავებენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ლ. მ. კაგანოვიჩის მეთაურობით და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების წევრები.

გაისმის ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომას ხსნის ა. ნოვოტნი. იგი გულთბილად მიესალმება მეგობარი სახელმწიფოების მთავრობათა დელეგაციებს, რომლებიც დღევანდელ დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

მოხსენება „საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების დღიდან განვლილი 10 წელი სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის მშენებლობის 10 წელია“ გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ვილიამ შიროკიმ.

* * *

გავიდა 10 წელი ჩვენი ხალხების ისტორიაში ყველაზე სასახელო და ღირსშესანიშნავი თარიღიდან, გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების დღიდან.

ეს დღე სამარადისოდ აღიბეჭდა მთელი ჩვენი ხალხის გულში. უკვდავია ხსოვნა საბჭოთა დევგმირებისა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას. ჩვენი მუდმივი სიყვარული და მადლობა ეკუთვნის დიდ საბჭოთა კავშირს, რომელიც არ ზოგავდა ძალებს და არ ერიდებოდა მსხვერპლს, რათა ჩვენი ქვეყანა გაეთავისუფლებინა ჰიტლერული გერმანიის მილიტარიზმის ხუნდებისაგან და ჩვენთვის საშუალება მოეცა დავდგომოდით ახალი ცხოვრების გზას, სოციალიზმის გზას.

გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების დღე ამავე დროს არის ნაცისტური იმპერიალისტური არმიის უსიტყვო კაპიტულაციის დღე, ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა იარაღის სახელოვანი გამარჯვების დღე. საბჭოთა არმიამ გიგანტური ბრძოლის შემდეგ, რომელიც მსოფლიო ისტორიაში უმაგალითოა, თავისუფლება მოგვიტანა არა მარტო ჩვენ, არა მარტო ევროპისა და აზიის მთელ რიგ სხვა ქვეყნებს, არამედ მსოფლიო ცივილიზაცია, მთელი კაცობრიობა იხსნა ფაშისტური ტირანიისა და ბარბაროსობისაგან. საბჭოთა არმიამ ბოლომდე შეასრულა თავისი განმათავისუფლებელი მისია, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განზრახ უწევდნენ საბოტაჟს მეორე ფრონტის შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი იმპერიალისტების განკარგულებაში იყო თითქმის მთელი ევროპის ეკონომიური პოტენციალი და მათ დროებით ოკუპირებული ჰქონდათ საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს მოწმობს, რომ უძლეველია საბჭოთა კავშირი, რომელმაც გაუძლო უმძიმეს განსაცდელს და ამ განსაცდელიდან გამოვიდა არა დასუსტებული, როგორც ამის იმედი ჰქონდა ზოგიერთ დასავლეთელ „მეგობარს“, არამედ კიდევ უფრო გამობრძმედილი და ძლიერი, ვიდრე ოდესმე წინათ ყოფილა.

მაგრამ საბჭოთა კავშირის გამარჯვების საერთაშორისო მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ფართო მასებმა კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიგნეს, რომ საბჭოთა ხალხის განსაცვიფრებელი ძლიერების, მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, მისი უდიდესი წარმატებების წყაროს სოციალისტური წყობილება წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი ლაშქრობა ამავე დროს იყო მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიადი იდეების ტრიუმფალური სვლა, იმ იდეებისა, რომლებსაც გერმანელი ‘ფაშისტები ცეცხლითა და მახვილით უპირებდნენ განადგურებას.

არანაკლებ ბრივად გაძლიერდა ხალხთა მასების ნება და მისწრაფება სამუდამოდ მოუღონ ბოლო სიღატაკის, შიმშილის, უმუშევრობისა და ჩაგვრის კაპიტალისტურ რეჟიმს, საკუთარ ხელში აიღონ თავიანთი ბედი. იმ ხალხთა მძლავრი და შეუჩერებელი მოძრაობით, რომლებსაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში დამყარდა ახალი, სახალხო-დემოკრატიული წყობილება, რომლის დროს ხალხი წარმატებით გაუმკლავდა ბურჟუაზიულ რეაქციას და დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. ამის შემდეგ მალე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძლევამოსილი დროშა აფრიალდა ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე. როგორც საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომისა და დამონებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირდაპირი შედეგი, შეიქმნა სოციალიზმისა და მშვიდობის მძლავრი ბანაკი, რომელიც მოიცავს თვალუწვდენ სივრცეს ბერლინიდან შანხაიმდე და სადაც თითქმის მილიარდი ადამიანი თავის ბედნიერ მომავალს აშენებს.

ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა ის, რომ ჩვენმა ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამაც, რომელიც საბჭოთა კავშირის მოსაზღვრეა, გზა გაიკაფა მშვიდობის ქვეყნების ბანაკში და რომ ჩვენმა ხალხმაც, რომელსაც თავისი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, შეიგნო, რომ დადგა დრო დაემხო კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის უღელი და გამხდარიყო თავისი ქვეყნის ერთადერთი კანონიერი ბატონ-პატრონი.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების აგება, თქვა შემდეგ შიროკიმ, ჩვენი ისტორიის დიადი პროგრესული მიღწევაა, ჩვენი ხალხების ძველისძველი ოცნებისა და სურვილების განხორციელებაა.

სახალხო დემოკრატიის 10 წელი ჩვენი ხალხების ისტორიაში უდიდეს საზოგადოებრივ ცვლილებათა 10 წელია. მოისპო ბურჟუაზიის ხელისუფლება და ხელმძღვანელ საზოგადოებრივ ძალად იქცა რევოლუციური მუშათა კლასი, ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი, რომელიც ჩვენი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იდგა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში, ხოლო შემდეგ ახალი სოციალისტური საზოგადოების ორგანიზატორი გახდა.

ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძვლებზე ჩვენ შევქმენით ჩვენი ახალი სახელმწიფო, სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელიც წარმატებით ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს, სახელმწიფო, რომელიც ეფექტიანი იარაღია მუშათა კლასის ხელისუფლებისა მშრომელ გლეხობასთან და მშრომელ ინტელიგენციასთან კავშირში, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მძლავრი იარაღია.

ჩვენი ქვეყნის მუდმივად მზარდი ეკონომიური ძალა ჩვენი მშრომელების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველია.

ბოლოს, ჩვენი სახელმწიფოს ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შევქმენით ჩვენი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც ემყარება დიდი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობრობას, თანამშრომლობასა და უანგარო დახმარებას; სოციალიზმისა და მშვიდობის უძლეველი ბანაკის ყველა ქვეყანასთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. ჩვენი სახელმწიფოს ძალა მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ჩვენ გვყავს გულწრფელი მეგობრები მსოფლიოს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს შორის.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა წარმატების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, ხაზგასმით აღნიშნა ვილიამ შიროკიმ, არის ჩვენი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია — ეროვნული ფრონტის — ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ბლოკის ხელმძღვანელი ძალა. საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის მსგავსად შექმნილმა ჩვენმა პარტიამ, რომელიც იყენებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილებას, მთელი ხალხი დარაზმა და მიჰყავს იგი სოციალიზმის ნათელი მიზნებისაკენ.

თუ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მე-10 წლისთავს და ვეგებებით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დიდ წარმატებებს, ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არაერთი საბაბი არა გვაქვს თვითდამშვიდებისათვის. ჩვენ კიდევ წინ გვიდგას დიდი ამოცანები სოციალიზმის მშენებლობაში და მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამ ამოცანების წარმატებით შესრულების მთავარი გარანტიაა ჩვენი სახელოვანი პარტია, მისი კარგი მუშაობა, მისი მუდმივი ღონისძიებანი დაუცხრომლად ხელმძღვანელობდეს სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების შესრულებას და მუდამ ამაღლებდეს პარტიის ყველა ორგანიზაციისა და წევრის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დონეს.

შემდეგ ვილიამ შიროკიმ თქვა:

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით და ეყრდნობა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის ობიექტურ საჭიროებებსა და თვით ხალხის საჭიროებებს, წამოაყენა სახალხო მეურნეობის განვითარების შესანიშნავი პროგრამა, სოციალისტური მშენებლობის პროგრამა. ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების, საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მოთხოვნის წამოყენება და განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ამავე დროს განვამტკიცებდით და გაფართოებდით სოციალიზმის ბაზას, როგორც ამას მოითხოვს აგრეთვე საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიური კანონი. ჩვენმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა კავშირის ფართო უანგარო დახმარებაზე, მის მძლავრ ტექნიკურად ყველაზე მოწინავე ეკონომიკაზე დაყრდნობით, წამოაყენა სოციალიზმის მშენებლობის, მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროგრამა და განუწყვეტლივ ახორციელებს მას.

ახლა ჩვენ გვაქვს მძლავრი მანქანათმშენებელი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია საჭირო მანქანებითა და მოწყობილობით უზრუნველყოს მრეწველობის დანარჩენი დარგები, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, აგრეთვე უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები თანამედროვე იარაღით. მანქანათმშენებელი მრეწველობის წარმოება 3,5-ჯერ და უფრო მეტად აღემატება 1937 წლის დონეს.

ჩვენ გვაქვს მძლავრი მეტალურგიული მრეწველობა, რომლის საწარმოო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გავაფართოეთ.

ჩვენ მივაღწიეთ ქვანახშირის მოპოვების არსებითად გადიდებას, მექანიზაციის გაფართოებას. მიმდინარე წლის გეგმის თანახმად ქვანახშირის მოპოვება 29 მილიონი ტონით მეტი იქნება, ვიდრე 1937 წელს.

მთელი რიგი ელექტროსადგურების მშენებლობით ჩვენ არსებითად გაკაფიდეთ ელექტროენერგიის წარმოება და ამოცანად ვისახავთ, რომ ენერგეტიკის განვითარება წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების განვითარებას.

შემდეგ ვილიამ შიროკი გადავიდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებაში, თქვა მან, ჩვენ ჯერჯერობით ისეთი შედეგები არა გვაქვს, როგორიც მრეწველობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავის განვითარებაში ჩამორჩა მრეწველობის განვითარებას და საერთოდ დღემდე ვერ დააჯარბა ომამდელ დონეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ წლებში სოფლის მეურნეობაშიც შეიქმნა ძირითადი, ფრიად მნიშვნელოვანი წინაპირობები წარმოების სწრაფი განვითარებისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს, ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს, წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ამ პერიოდში სოფლად პირველი საფუძვლები ჩავუყარეთ სოციალისტურ კოოპერაციულ წარმოებას. ჩვენმა გლეხებმა ათასობით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შექმნეს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხშირი ქსელის შექმნის და მძლავრი თანამედროვე მანქანური ტექნიკით მათი აღჭურვის მეოხებით არსებითად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით უახლოეს წლებში საჭირო იქნება აღმოიფხვრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენა და უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის მაღალი ინტენსივობა და მისი პროდუქციის გადიდება.

ჩვენი პარტია და მთავრობა, ხელმძღვანელობენ რა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დირექტივებით, დიდ ტექნიკურ, მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობას და ეხმარებიან კადრებით იმისათვის, რომ უახლოეს დროში მიღწეულ იქნას მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის არსებითი გადიდება, რომ მთელი მიწა რესპუბლიკაში გამოყენებულ იქნას ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების არსებობის ათი წლის მანძილზე, თქვა შემდეგ ვილიამ შიროკიმ, ბევრად გაუმჯობესდა მშრომელთა ცხოვრების პირობები, მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი მატერიალური და კულტურული დონე.

მიუხედავად ყველა უდავო და დიდი წარმატებისა, რომლებსაც განვლილ წლებში მივაღწიეთ, საჭიროა ითქვას, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება უთუოდ მოითხოვს, რომ წარმოების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების დარგში წელსვე მიღწეულ იქნას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ჰიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების დღიდან გასულ ათი წლის მანძილზე მსოფლიოში მოხდა არსებითი ცვლილებანი ძალთა თანაფარდობაში. წარმოიშვა და არაჩვეულებრივად განმტკიცდა მსოფლიოს სოციალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგანან დიდი საბჭოთა კავშირი და მის გვერდით მდგომი დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობა არსებითად შესუსტდა.

ძირეულად შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაც. სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის უძლეველი და მტკიცე საფუძველი გახდა ძმური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირთან და მშვიდობის ბანაკის სხვა ქვეყნებთან გულწრფელი მეგობრობა და თანამშრომლობა, სრული თანასწორუფლებიანობის, სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და ინტერესების პატივისცემის ურთიერთობა, ყველა ამ სახელმწიფოს შორის ურთიერთ პატივისცემა და დახმარება, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სურვილი, დამონებულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარდაჭერა, ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია თანასწორუფლებიანი მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა, — ყოველივე ეს ჩვენი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნიშნებია. ამ პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა ახლა შეუდარებლად უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე წარსულში ყოფილა, რომ მისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და უშიშროება უზრუნველყოფილია ისე, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა.

აღნიშნა რა ავსტრიასა და იუგოსლავიასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, ვილიამ შიროკიმ შემდეგ განაცხადა: მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მისწრაფებანი და კეთილი სურვილი გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან ყველგან ხვდებოდეს ასეთსავე მისწრაფებებსა და ასეთსავე კეთილ ნებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ ხანს გააძლიერეს თავიანთი პროვოკაციული გამოხდომები, მიმართული ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.

მთელ მსოფლიოში პროგრესის ძალების ახლანდელი მძლავრი და შეუჩერებელი ზრდის დროს არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ევროპისა და საერთაშორისო უმნიშვნელოვანესი საკითხი — გერმანიის საკითხი, — რომელიც ყველაზე უფრო ახლოს ეხება ჩვენს რესპუბლიკას, არათუ გადაწყვეტილი არ არის, არამედ მის გადაწყვეტას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიან.

ევროპის ხალხთა წინააღმდეგ ჰიტლერული ფაშიზმის სახით გერმანიის მილიტარიზმის გააფთრებული აგრესიული შეტევის განადგურებიდან მხოლოდ ათი წლის შემდეგ დასავლეთ ევროპაში კვლავ წარმოებს აღორძინება იმავე აგრესიული ძალებისა იმ ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტების თანხმობით, რომლებიც ცოტა ხნის წინათ თვითონ ესოდენ ძლიერ დაზარალდნენ ჰიტლერული აგრესიისაგან, ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არიან საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, დანია და სხვები. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი დღეს საკუთარი ხელით აღადგენენ ახალი ვერმახტის აგრესიულ ძალებს. საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა აშკარად დახიეს მათი უშიშროებისათვის ისეთი ძვირფასი დოკუმენტი, როგორიც არის საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება, და მას ამჯობინეს სამხედრო პაქტი თავიანთი ხალხების მოსისხლე მტერთან — გერმანიის მილიტარიზმთან. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი უახლოესი პარტნიორების ექვს თვეზე მეტი ხნის ულმობელი ზეგავლენის შემდეგ ამ დღეებში დამტკიცებულ იქნა პარიზის შეთანხმებანი. ეს ნაბიჯი ნიშნავს ევროპის საერთო მდგომარეობის სერიოზულ გართულებასა და გაუარესებას.

ასეთ ვითარებაში ევროპის დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დუმდნენ და არც დაუდუმდებიან. უკანასკნელ ხანს იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის თათბირში, განიხილეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების საკითხები, აგრეთვე ამ სახელმწიფოთა გაერთიანებული სარდლობის შექმნის საკითხები. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ გადაწყდა 11 მაისისათვის მოწვეულ იქნას მეორე თათბირი მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად. ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების საერთო ღონისძიებებით შეიქმნება ძალა, რომელიც ყოველ დროს შეძლებს მძლავრი დარტყმით მოიგერიოს და გააცამტვეროს მტრის ყოველი აგრესიული ცდა.

დასასრულ შიროკიმ თქვა:

სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის აშენების მშვენიერი პერსპექტივა სულ უფრო და უფრო ნათლად გვესახება თვალწინ. იმას, რაც წინა თაობისათვის მხოლოდ სანუკვარი ოცნება იყო, იმას, რისთვისაც ჩვენი მუშათა კლასი იბრძოდა ხანგრძლივ და მძიმე, ხშირად სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ახლა ჩვენ საკუთარი ხელით ვაქცევთ სინამდვილედ. ეს ადვილი საქმე როდია. იგი ახლაც და კვლავაც მოითხოვს მთელ ჩვენს ძალღონეს, მთელ ჩვენს გონებას, მთელ ჩვენს ნებისყოფას, მთელ ჩვენს ენთუზიაზმს.

გაუმარჯოს და აყვავდეს ჩვენი საყვარელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, დაე გაბედულად იარონ სოციალისტური მომავლისაკენ ჩვენმა მშრომელებმა!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებათა მშენებლობის გარანტიას, ჩვენი ხალხის მშობლიურ პარტიას — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების ურღვევი, სამარადისო ძმობა ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელთან და საუკეთესო მეგობართან — საბჭოთა კავშირთან!

(ვ. შიროკის მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში დიდი საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და სახალხო-დემოკრატიული მთავრობის პატივსაცემად, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების სამარადისო, ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად).

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაურის ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა.

ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ჩეხოსლოვაკიის ხალხები დღეს დღესასწაულობენ თავიანთ დიად ეროვნულ დღესასწაულს — გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიისა და მისი შესანიშნავი დედაქალაქის პრაღის განთავისუფლების მეათე წლისთავს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით, ჩეხოსლოვაკიის შრომიელთა გულწრფელი და ერთგული მეგობრის — საბჭოთა ხალხის სახელით მოგილოცავთ გამარჯვების დღესასწაულს და გადმოგცემთ მხურვალე ბოლშევიკურ სალამს. (ყველანი ფეხზე დგებიან. მთელი დარბაზი ოვაციას მართავს. შეძახილები „ვაშა!“).

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეათე წლისთავი დაემთხვა ისტორიულ თარიღს — მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მეათე წლისთავს, გამარჯვებისა, რომელიც საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან საბრძოლო თანამეგობრობით მოიპოვეს ჰიტლერულ გერმანიაზე. ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება ამ ბრწყინვალე გამარჯვების განუყოფელი ნაწილია. გამარჯვებათა ისტორიაში სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ჩეხოსლოვაკიის მამაცმა მეომრებმა.

1945 წლის მაისის დაუვიწყარ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის ხალხები მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ემზადებოდნენ, რათა ზეიმითა და სიხარულით ედღესასწაულნათ კაცობრიობის გამხეცებულ მტერზე — ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების დღე, პრაღა ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული. ბერლინში დამარცხებული გერმანელი ფაშისტები ცდილობდნენ პრაღაში გამაგრებულიყვნენ.

აჯანყებულმა პრაღის მშრომელებმა, რომლებიც იბრძოდნენ რიცხობრივად ბევრად ჭარბი და გაცილებით უკეთ შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ, რადიოთი სთხოვეს დახმარება საბჭოთა არმიას.

საბჭოთა არმიამ, რომელიც ასობით კილომეტრით იყო დაშორებული პრაღას, თავისი ჩეხოსლოვაკიელი ძმების მოწოდების პასუხად უმაგალითოდ მოკლე ვადაში მოახდინა უძნელესი გადასვლა, მოსპო პრაღის რაიონში გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდი დაჯგუფება, გაელტისაგან იხსნა ჩეხოსლოვაკიის ასეულ ათასობით ადამიანი, ხოლო დაგრეგას გადაარჩინა ქალაქი პრაღა. (მქუხარე ტაში).

1945 წლის 9 მაისს პრაღა განთავისუფლებულ იქნა და ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ყველა ხალხთან ერთად იდღესასწაულა სახელოვანი გამარჯვების დღე. (ტაში).

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება შედგება როგორც საბჭოთა არმიის გმირობისა, ისე თვითონ ჩეხოსლოვაკიის ხალხის მამაცური ბრძოლისა. ჩეხოსლოვაკიის ხალხმა თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოაწყო ჰიტლერელი ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობა, შექმნა ჩეხოსლოვაკიის კორპუსი, მოაწყო სახალხო აჯანყება სლოვაკიაში 1944 წლის აგვისტოში და მშრომელთა აჯანყება პრაღაში 1945 წლის მაისში. ამ გმირულ ბრძოლაში ჰპოვა განგრძობა და შემდგომი განვითარება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩეხოსლოვაკიის ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის საუკეთესო რევოლუციურმა ტრადიციებმა. (ხანგრძლივი ტაში).

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება იმას მოასწავებდა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა — ნამდვილი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ერა, ახალი ცხოვრების მშენებლობისა და საბჭოთა კავშირთან ჩეხოსლოვაკიის სამარადისო მეგობრობის ერა.

ეს უნდა გვახსოვდეს იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც სერიოზულ ვალდებულებებს კისრულობდნენ ჩეხოსლოვაკიის მიმართ, სამარცხვინოდ უღალატეს მას 1938 წლის მიუნხენის შავბნელ დღეებში, არ დაეხმარნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხს მაშინ, როცა გერმანელმა ფაშისტებმა, დაიპყრეს რა ჩეხოსლოვაკია, წაართვეს მას თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაანაწილეს იგი, დაიტაცეს მისი სიმდიდრე, ტანჯავდნენ და ყლეტდნენ მის ხალხებს. ბურჟუაზიისა და მემამულეთა დანაშაულს, რომელნიც წინათ მართავდნენ ჩეხოსლოვაკიას, ის აორკეცებს, რომ მათ უარყვეს სამხედრო დახმარება, რომელიც ჩეხოსლოვაკიას საბჭოთა კავშირის მთავრობამ შესთავაზა. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ჯარები თავმოყრილი იყვნენ ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან და მზად იყვნენ დახმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების ზეგავლენით უარი თქვა ბრძოლაზე, კაპიტულაცია მოახდინა გერმანელი ფაშისტების წინაშე და ჩაშალა დახმარება, რომელიც საბჭოთა კავშირმა შესთავაზა.

საჭიროა ეს გავიხსენოთ განსაკუთრებით ახლა, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი იმპერიალისტური წრეები, უხეშად თელავენ რა ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, სასწრაფოდ აღორძინებენ გერმანულ მილიტარიზმს, ქმნიან და აიარაღებენ ვერმახტს. ისინი აქტიურად უჭერენ მხარს რევანშისტულ უგუნურებას, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ინერგება და რომლის მოწამლული მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

გაათავისუფლა რა ჩეხოსლოვაკიის ხალხები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ხალხები ავსაბაკური გერმანული იმპერიალიზმის მიერ დამონებისაგან, საბჭოთა არმიამ პირნათლად შეასრულა თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია. საბჭოთა კავშირმა, ძმური დახმარების ხელი გაუწოდა რა ჩეხოსლოვაკიის ხალხებს, ისევე როგორც ევროპის სხვა ხალხებს მათთვის ყველაზე მძიმე ჟამს, საქმით დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ იგი ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საიმედო ბურჯია. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის ხალხები ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად მარტო იმიტომ როდი დღესასწაულობენ ომის ძლევამოსილად დამთავრების მეათე წლისთავს, რომ სასიამოვნო და სასიხარულოა გამარჯვების აღნიშვნა. გამარჯვების ამ სახელოვან დღეს იმისათვის ვდღესასწაულობთ, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ აღარასოდეს განმეორდეს იმპერიალისტური შემოსევის მძიმე დღეები და წლები, რაც ხალხებმა განიცადეს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სიფხიზლე, ორგანიზებულობა, მობილიზებულობა.

**იმათ, ვისაც სურს ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხოს ევროპა და მთელი მსოფლიო, წაართვას ხალხებს მათ მიერ მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უნდა ახსოვდეთ, რომ, გამარჯვებას რომ ვდღესასწაულობთ, ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს მზადყოფნას — გამზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვის დასასრული

ბი. ეს პრეტენზიები დამთავრდა გერმანული იმპერიალიზმის დამარცხებით და ხალხთა გამარჯვებით.

ჩაიფუშა ავანტიური გერმანული იმპერიალიზმის ვერაგული გეგმა მსოფლიო ბატონობის დამყარების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ გეგმის მიზანი იყო ევროპის ხალხების, განსაკუთრებით სლავი ხალხების დამონება, საბჭოთა კავშირის მოსპობა, ეგრეთწოდებული „დაბალი რასების“ დამორჩილება გერმანელი იუნკრებისა და კაპიტალისტების „რასისადმი“. ამ მიზნით ფაშისტი ბარბაროსები იყორობდნენ ქვეყნებს, ხოცავდნენ მილიონობით ადამიანს, ანგრევდნენ ქალაქებსა და სოფლებს, სპობდნენ მატერიალურ და კულტურულ ფასეულობებს, რომლებიც ხალხთა მრავალი საუკუნის ზეკითი შრომით შეიქმნა. ხალხები ეერ დაივიწყებენ ამ მძიმე ჟამს!

დიდი სამამულო ომი დამთავრდა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით, რომელიც მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხებმა რუსი ხალხის მეთაურობით ლენინის დროშით, თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს იყო გმირი საბჭოთა არმიის ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვება გერმანულ-ფაშისტური იმპერიალიზმის არმიებზე, რომლებიც იკვეხნიდნენ თავიანთ „უძლეველობას“. ეს იყო საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებისა და მრავალეროვანი სახელმწიფოს გამარჯვება ფაშისტურ წყობილებაზე, მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვება კაპიტალისტურ სისტემაზე. ამავე დროს ეს იყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიდი გამარჯვება ჰიტლერელთა და იმპერიალისტური ბანაკის მათ მეგობართა ბურჟუაზიულ-ფაშისტურ რასობრივ ბოდვაზე, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება. **(ტაში).**

ჰიტლერზე გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში, სამწუხაროდ, არ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელზეც ოცნებობდნენ ხალხები, რომ დადგებოდა მტკიცე მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი. ომის დამთავრების მეორე დღესვე იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც თუმცა ომობდნენ ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ რომლებიც ოცნებობდნენ გაჰხდარიყვნენ მისი მემკვიდრეები, დაიწყეს შეთქმულებათა მზადება მშვიდობის წინააღმდეგ, მშვიდობიანი ხალხების წინააღმდეგ.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც იმედოვნებდნენ საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ ენახათ დასუსტებული და სისხლით დაცლილი, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი არათუ ვერ შეძლებდა ხელი შეეშალა მათი ბატონობის დამყარებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში, არამედ თვითონაც იძულებული იქნებოდა დამორჩილებოდა მათ.

მაგრამ ისტორიის მსვლელობამ იმედი გაუცრუა მათ, როგორც არაერთხელ დამართნიათ იმპერიალისტებს, რომლებიც ვერ ეწყობიან ისტორიას, სამაგიეროდ თავიანთი ბუნებით მიტაც მეგობრობენ ავანტიურებს **(დარბაზში გამოცოცხლებაა).** ნამდვილად აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირი ომიდან გამოვიდა ძლიერი და არათუ არ დაემორჩილა კაპიტალისტებს, არამედ კიდევაც დაეხმარა სახალხო დემოკრატიის ბანაკის თავის ძმებს შეენარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა და უზრუნველყოთ თავიანთი ახალგაზრდა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების აყვავება. **(ტაში).** რა თქმა უნდა, ეს არ ახარებს იმპერიალისტის გულს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტებს არ მოსწონთ ის ძირეული ცვლილებანი, რომლებიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მათ არ მოსწონთ ის, რომ კაპიტალიზმს მოუხდა საფუძვლიანად შეეიწროებულიყო და რომ საბჭოთა კავშირთან ერთად გამოჩნდნენ დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები, რომლებიც დაირაზმნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ და უძლეველ ბანაკად, რომელშიც 900 მილიონი კაცი ითვლება. **(ტაში).** მათ არ მოსწონთ ის, რომ ამ ბანაკის ხალხებმა განდევნეს ექსპლოატატორები და მემამულეები, დაამყარეს მშრომელთა სახალხო ხელისუფლება და ძლევამოსილად მიდიან ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზით.

„მარშალის გეგმის“ წამოყენებით ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭკუით ეჯობნათ ომისშემდგომი პერიოდის ისტორიისათვის და მთელი რიგი ქვეყნები დაემორჩილებინათ ამ გეგმის დახმარებით. მაგრამ მათ დაიმორჩილეს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის მხოლოდ მმართველი ზედაფენები, მაგრამ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ როდისმე დაიმორჩილონ ამ ქვეყნების ხალხები. მათმა „დახმარებამ“ არათუ არ გამოიწვია მეურნეობის სწრაფი ზრდა, არამედ გამოიწვია ზრდის ტემპების შენელება, ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის მოშლა. მათმა „უანგარო“ დახმარებამ ის გამოიწვია, რომ ამ დახმარების მიმღები ქვეყნები სულ უფრო კარგავენ თავიანთ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ხალხები ამას ხედავენ, ძნელია მათი მოტყუება, და ამიტომ ძლიერდება ხალხთა უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა და მასთან ერთად სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამაც, უარყვეს ეს „დახმარება“ და თავიანთი ძალებით არა მარტო აღადგინეს ომით დანგრეული თავიანთი მეურნეობა, არამედ შორსაც წავიდნენ წინ ომამდელ დონესთან შედარებით, მარშალიზებულ ქვეყნებთან შედარებით. ეს უკვე აცოფებს იმპერიალისტებს.

მაგრამ რაც უნდა ბრაზობდნენ ისინი, ფაქტები ჯიუტი რამეა, ხოლო ფაქტები ცხადყოფენ, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებშაც უარყვეს დოლარის დახმარება, სულ უფრო სწრაფად და ეფექტიანად ავითარებენ თავიანთ მეურნეობას, მაშინ როცა იმ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომლებმაც ხელ-ფეხი შეიკრეს „მარშალის გეგმის“ მიხედვით „დახმარებით“, მეურნეობა ვითარდება უფრო ნელა, ვაჭრობა მოშლილია და ისინი იძულებული არიან თავიდან აიცილონ მოზღვავება ამერიკული საქონლისა, რომელიც ხშირად ხალხს არ ესაჭიროება. ეს ეხება დიდ და პატარა ქვეყნებს, რადგან საქმე ქვეყნის სიდიდე კი არ არის, არამედ თვით საგანთა ბუნებაა.

შესადარებლად ავიღოთ ჩეხოსლოვაკია და საფრანგეთი. მართალია, მათ შორის არსებობს განსხვავება ტერიტორიის მხრივაც და მოსახლეობის მხრივაც. მე მგონია, რომ საფრანგეთის დიდი სახელმწიფოსათვის საწყენი არაფერია, რომ მას შევადაროთ ოდენობით უფრო პატარა, მაგრამ მრეწველობის მხრივ განვითარებული კულტურული ჩეხოსლოვაკია.

აი რამდენიმე შესადარებელი ციფრი: ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის სამრეწველო წარმოების ინდექსი, თუ 1937 წელს 100-დ მივიღებთ, შეადგენდა: 1950 წელს ჩეხოსლოვაკია 145, საფრანგეთი — 124; 1954 წელს ჩეხოსლოვაკია — 220, საფრანგეთი — 154.

თუჯის წარმოება ჩეხოსლოვაკიაში 1954 წელს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 66,7 პროცენტით, ხოლო საფრანგეთში მარტო 13 პროცენტით; შესაბამისად ფოლადის გამოდნობა ჩეხოსლოვაკიაში გაიზარდა 89,7 პროცენტით, საფრანგეთში მხოლოდ 34 პროცენტით; ნაგლინის წარმოება ჩეხოსლოვაკიაში გადიდდა 69,6 პროცენტით, საფრანგეთში — 30 პროცენტით. **(დარბაზში გამოცოცხლებაა).**

ჩვენ ნიშნს როდი ვუგებთ საფრანგეთს მისი შენელებული ტემპების გამო, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ხალხს უფლება აქვს დიეს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, უხაროდეს თავისი გამარჯვებანი მშვიდობიანი სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და ამის საფუძველზე გამარჯვებანი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის ფრონტზე. **(ტაში).**

ცნობილია, რომ გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების ნაყოფის გამოყენებას ცდილობდნენ ბურჟუაზია და მემამულეები, ე. ი. სწორედ ის კლასები, რომლებმაც გასცეს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ინტერესები. ცხადია, რომ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო ჩეხოსლოვაკიის ხალხს შეეძლო შეექმნა მხოლოდ ექსპლოატატორთა თავიდან მოშორებით და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებით.

სახალხო-დემოკრატიული წყობილებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი ეტაპი იყო 1948 წლის თებერვლის ღირსშესანიშნავი ამბები, როცა მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და მშრომელთა სახელოვანი ბელადი ამხანაგი გოტვალდი, დაამარცხეს შინაური ბურჟუაზიული რეაქციისა და ჩეხოსლოვაკიაში იმპერიალისტური აგენტურის ძალები. ჩეხოსლოვაკიის ხალხებისათვის დადგა ერა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისა მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის ნაციონალიზაციის საფუძველზე.

სწორედ ამან უზრუნველყო კიდევაც ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის აღმავლობა, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი სახალხო სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის განმტკიცება.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმატებათა ძირითადი პირობებია სოციალიზმზე გადასვლა და მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. **(ტაში).**

თქვენი მეურნეობის ზრდისა და გარდაქმნის ფაქტები და ციფრები, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, ადასტურებენ ამ ძირითად დასკვნას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მშრომელი გლეხობის მდგომარეობაში მომხდარი ძირეული ცვლილებანი. სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმამ, აგრეთვე მშრომელი გლეხობის მნიშვნელოვანი მასების გადასვლამ მეურნეობის გაძღოლის კოოპერაციულ ფორმებზე გარდაქმნა და ახლაც გარდაქმნის ჩეხოსლოვაკიის სოფლის სახეს, ხელს უწყობს, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციას და მის სწრაფ აღმავლობას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკის სულ უფრო მძლავრი ძალა ხდება.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1954 წელს თითქმის ერთისამად გადიდდა 1946 წელთან შედარებით. ამასთან საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის წილად მოდის ჩეხოსლოვაკიის მთელი სავაჭრო ბრუნვის 75 პროცენტი. საჭირო არ არის ვამტკიცოთ, თუ რა უდიდეს რეალურ მატერიალურ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას ხელშეკრულებათა და ურთიერთინტერესთა დაცვის საფუძველზე.

ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმატებანი იმის შედეგია, რომ მას ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა და ერთიანი ეროვნული ფრონტის სული და გულია, რომ ამ პარტიას სათავეში უდგას ნაცადი, მარქსიზმ-ლენინიზმის საქმის ერთგული ხელმძღვანელი კოლექტივი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. **(ტაში).**

ჩეხოსლოვაკიის ხალხი და მისი კომუნისტური პარტია დიდი პატივისცემით სარგებლობენ საბჭოთა ადამიანებში იმიტომ, რომ ისინი თანმიმდევრულად მიჰყვებიან მარქსისტულ-ლენინურ გზას. რა თქმა უნდა, წარმატებანი არ გამორიცხავენ იმას, რომ თქვენ, ისევე როგორც სხვებს, გაქვთ სიძნელენი და ნაკლოვანებანი.

კიდევ უფრო წარმატებით რომ ვიაროთ წინ, ამისათვის საჭიროა გადაჭრით განვავითაროთ თვითკრიტიკა, გაბედულად ვამხილოთ ნაკლოვანებანი, დავძლიოთ სიძნელეები და გადავწყვიტოთ ახალი ამოცანები. თუმცა მიღებული არ არის საზეიმო სხდომაზე, მით უმეტეს სტუმრმა, ილაპარაკოს ნაკლოვანებებზე, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებსა და მეგობრებს, შეგვიძლია ამის ნება მივცეთ თავს **(დარბაზში გამოცოცხლებაა. ტაში),** მით უფრო, რომ თქვენი კომუნისტური პარტიის X ყრილობამ, რომელიც 1954 წელს გაიმართა, დაისახა რა სოციალიზმის მშენებლობის გაჩაღება ფართო ფრონტით, მთელი რიგი ნაკლოვანებანი გამოაშკარავა და დასახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ეს ეხება მრეწველობას, რომელშიც საჭიროა უფრო გაბედულად ავითვისოთ ახალი ტექნიკა, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, უფრო ენერგიულად განვავითაროთ მომპოვებელი დარგები, ისეთი, როგორიც არის ქვანახშირი, რკინის მადანი, ნავთობი, ფერადი ლითონები.

ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის მეურნეობას, მისთვის რეალური ორგანიზაციული და მატერიალური დახმარების გაწევას, ნათესი ფართობის გადიდებას, მეცხოველეობის განვითარებას, კოოპერაციული მეურნეობის შემდგომ განვითარებას და მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ამ საფუძველზე მუშათა და ყველა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საჭიროა დავეუფლოთ სიძნელეთა დაძლევისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ხელოვნებას, განსაკუთრებით საჭიროა მოთმინება და შეუპოვრობა გამოვიჩინოთ, ხოლო რაც თავვარი — ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მუშაობის იდეური პრინციპული შინაარსი.

თქვენთვის, ამხანაგებო, ახლა უფრო ადვილია სოციალიზმის შენება, ვიდრე ჩვენთვის დაწყება იყო. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გაითვალისწინონთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალხების გამოცდილება, აგრეთვე გამოცდილება კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებაში.

სსრ კავშირის ხალხები სახელოვანი კომუნისტური პარტიის, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის — ცენტრალური კომიტეტის წინამძღოლობით, ახორციელებენ რა ლენინის და მისი საქმის განმგრძობის სტალინის ანდერძს, განუხრელად მიდიან წინ კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზით. **(მქუხარე ტაში).**

განვლილ ათ წელიწადში საბჭოთა კავშირმა არა მარტო მთლიანად მოიშუშა ომით მიყენებული ღრმა ჭრილობები, სავსებით დაამთავრა ომის წლებში დანგრეული მეურნეობის აღდგენა, არამედ შორს მოიტოვა უკან ის მიჯნები, რომლებზეც მას ომმა მოუსწრო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისშემდგომ პერიოდში აღდგენილია, აშენდა და ამუშავდა რვა ათასზე მეტი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე.

1955 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ერთისამად და მეტად გადააჭარბებს ომამდელ დონეს. დიდი მიღწევები აქვს ჩვენს მძიმე ინდუსტრიას, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველია. ახლა მძიმე მრეწველობა თითქმის 3,5-ჯერ მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე 1940 წელს იყო გამოშვებული. მძიმე ინდუსტრიის მძლავრი ზრდის საფუძველზე ვითარდება ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა, მათ შორის მსუბუქი და კვების მრეწველობა. სერიოზული წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში, კულტურასა და სხვა დარგებში.

მაგრამ, მიუხედავად ზრდის მიღწევებისა, აგრეთვე იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ თავბრუდახვევა წარმატებებისაგან, ხოლო რაც მთავარია, უსწრაფესად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი და სიძნელენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა, იყენებენ რა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად ბოლშევიკურ იარაღს, გაბედულად ამხილებენ ჩვენში არსებულ ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს და რაზმავენ პარტიასა და ხალხს მათი ლიკვიდაციისათვის.

პარტიამ დაგმო ანტილენინური შეხედულებანი, რომელთა მიხედვით ახლა თითქოს საჭირო აღარ იყოს მძიმე ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპები. თქვენთვის ცნობილია, თუ რა გაბედულად და მტკიცედ აშკარავებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლის მეურნეობის ნაკლოვანებებს და შეიმუშავა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა. 1954 წელი ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველი წელი იყო. ამ ამოცანების გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. 1955 წელს ჩვენ ვვარაუდობთ დავთესოთ სულ ცოტა 20 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები.

ამასთან პარტია და მთავრობა ითვალისწინებენ არა მარტო იმას, რომ საჭიროა დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილება სურსათზე და შეიქმნას სერიოზული სახელმწიფო რეზერვები, არამედ იმასაც, რომ საჭირო შემთხვევებში დახმარება გაუწიონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოძმე ხალხებს, მათ შორის თქვენც, ამხანაგებო. თუმცა ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ სოციალისტური შეჯიბრების წესით თქვენი სასოფლო-სამეურნეო მუშაკები უზრუნველყოფენ, რომ ჩეხოსლოვაკიას საკმარისი რაოდენობით ჰქონდეს მარცვლეული, ერბო-კარაქი, ხორცი და სხვა სასურსათო საგნები. **(დარბაზში გამოცოცხლებაა, ტაში).**

პარტია და საბჭოთა კავშირის მთავრობა ახლა დიდ ყურადღებას უთმობენ ბრძოლას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის, მეცნიერების მიღწევათა დანერგვისა და შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელების საფუძველზე. პარტია და მთავრობა აძლიერებენ ბრძოლას მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მისი გამარტივებისა და გაიაფებისათვის, კანცელარიულობისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მტკიცეა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. მთელი საბჭოთა ხალხი მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმზე გამარჯვების მეათე წლისთავს ძალღონითა და ძლიერებით აღსავსენი ხვდებიან.

15 წლის წინათ, მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა კავშირი იყო სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა, კაპიტალისტური ქვეყნებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმული. გერმანია-იტალიის ფაშისტური იმპერიალიზმი დასავლეთიდან, იაპონიის იმპერიალიზმი აღმოსავლეთიდან თავით ფეხთამდე იარაღდებოდნენ და ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

მათ არათუ მხარს უჭერდნენ, არამედ კიდევაც აქეზებდნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის იმპერიალისტები, რომლებიც თუითონ ლეკავდნენ დანას, რათა ზურგში ჩაეცათ იგი საბჭოთა კავშირისათვის. ამ მხრივ მათ დიდი გამოცდილება ჰქონდათ ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროიდან, რომელმაც იმპერიალისტებს ჩაუშალა ყველა ვარაუდი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. სწორედ მათ მოაწყეს 14 სახელმწიფოს ინტერვენცია, რათა ჩაეხშოთ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიამ მწარედ დასცინა მათ. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ისტორია დასცინებს მათს თავდასხმებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, მათ შორის ტაივანის უკანონოდ ხელში ჩაგდებასაც.

გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის სასტიკი დამარცხების შედეგად შესუსტდა იმპერიალიზმის მთელი სისტემა. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ოქტომბრის რევოლუცია და გაჩნდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდნენ დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო ჩეხოსლოვაკია და სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმის სხვა სახელმწიფოები.

შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა სოციალიზმის პოზიციები, სერიოზულად შესუსტდნენ კაპიტალიზმის ძალები, ძალთა თანაფარდობა შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ. სოციალიზმის ბანაკს აქვს თავისი ძალების რწმენა და იგი მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯია.

განვლილი ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა ცოტა წარმატებას როდი მიაღწია მშვიდობისა და უშიშროებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის პოლიტიკაში, რომელსაც იგი ახორციელებს.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დიდი წვლილია საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივის შედეგად მალე წარმატებით გადაიჭრება საკითხი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიისათვის უშუალო მეზობლობის გამო.

თუ როგორ იქცევიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეები, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მსოფლიოში ავრცელებს, მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების დროშად, ამის ახალი მკაფიო დადასტურებაა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელიც ამას წინათ გაიმართა ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგში. აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი დიდ დამსახურებასა და იმ შესანიშნავ როლს, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ინდოეთის რესპუბლიკა ასრულებენ მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ იმპერიალისტ პოლიტიკოსებს, რომლებიც გონებას კარგავენ თავიანთი პოზიციების დაკარგვით, არა სურთ ანგარიში გაუწიონ ისტორიულ ფაქტებს და ეწევიან ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკას.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და ამ შეთანხმებებით განპირობებული რემილიტარიზაცია დასავლეთ გერმანიისა, რომელსაც აბამენ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, ძირითადი ფაქტია, რომელიც ახასიათებს იმ საერთაშორისო ვითარებას ევროპაში, რომელშიც ჩვენ აღვნიშნავთ ომის ძლევამოსილი დამთავრების მეათე წლისთავს. მშვიდობისმოყვარე ხალხები წინააღმდეგი არიან გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენისა, ისინი მოითხოვენ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, ჭეშმარიტად დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს შექმნას. ჩვენ მეგობრული გრძნობებით ვართ გამსჭვალული გერმანიის მშრომელებისადმი, რომლებიც მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძვიან. ამას მოწმობს ჩვენი ძმური დამოკიდებულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

პარიზის შეთანხმებანი ართულებენ საერთაშორისო ვითარებას. ეს სერიოზული ფაქტია, რომელიც საბჭოთა კავშირს, ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებს ავალებს გააკეთონ ყველა საჭირო დასკვნა იმისათვის, რომ მათ მოუმზადებელს არ მოუსწრონ.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და განხორციელების შემთხვევაში საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა, როგორც ცნობილია, ევროპის სახელმწიფოთა მოსკოვის თათბირი ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე, რომელიც მიმდინარეობდა 1954 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ახლა, როცა პარიზის შეთანხმებები დამტკიცებულია, მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას მიეძღვნება თათბირი, რომელიც მოწვეულია 11 მაისს ვარშავაში. ვარშავის თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხი, ისევე როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების ხალხები, კიდევ უფრო გააძლიერებს თავის სიფხიზლეს, განახორციელებს ყველა გადაწყვეტილებას, რომელთა მიზანი იქნება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობისა და სახელოვანი არმიების განმტკიცება სსრ კავშირთან ძმური კავშირით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარდაჭერით. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მუდმივ და განსაკუთრებით მზრუნველურ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმოადგენენ მძლავრ ძალას, რომელიც შეძლებს დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი და სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესები, შეძლებს საჭირო დახმარება გაუწიოს მეგობარ ქვეყნებს იმ შემთხვევაში, თუ მათ თავს დაესხმიან იმპერიალისტები, და სამუდამოდ წაართვას აგრესორებს ხალისი დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება და კვლავაც განხორციელდება, როდი მოასწავებენ იმას, რომ ჩვენ ვასუსტებთ მშვიდობისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის, სადავო და გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების გადაჭრის მშვიდობიანი გზების გამონახვისათვის ბრძოლას. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ იმპერიალისტები აძლიერებენ ომის მზადებას, გამალებულ შეიარაღებას, აღვივებენ ომის ისტერიასა და ატომურ ფსიქოზს, ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, სწორედ ამიტომ ჩვენ ვაძლიერებთ ბრძოლას უშიშროების განტკიცებისათვის, შეიარაღების შემცირებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

ჩვენ ვართ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოწაფეები და მათი საქმის განმგრძობნი, შეიარაღებულნი მათი დიადი თეორიით. სწორედ ამიტომ ჩვენ მტკიცედ, მშვიდად და რწმენით განვაგრძობთ ლენინური საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას. დიდ ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობა და ამ სისტემებს შორის მშვიდობიანი შეჯიბრება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმის სისტემა, როგორც მოწინავე, გამარჯვებული გამოვა ამ შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძლიერების განუწყვეტელი ზრდა, მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ისინი აქტიურად ახორციელებენ, ომის გამჩაღებელთა დაუცხრომლად მხილება და იმპერიალისტთა ვერაგული გეგმების ჩაფუშვა მაგარ ლაგამს ამოსდებს იმპერიალისტ აგრესორებს.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი აღაფრთოვანებენ მუშათა კლასს, მშვიდობის მომხრეებს ყველა ქვეყანაში, ამაღლებენ მსოფლიოს მუშათა კლასისა და ხალხების როლს მსოფლიო პოლიტიკაში, უნერგავენ ყველა მშრომელს მამაცობასა და უსაზღვრო რწმენას მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვების გარდუვალობისადმი. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის მისალმება ჩეხოსლოვაკიის ხალხებისადმი მათი ეროვნული ცხოვრების დიდი ისტორიული მოვლენის გამო — მისალმებაა სახელმწიფოს, პარტიისა და ხალხისა, რომლებიც თავიანთი მრავალი საუკეთესო შვილის წმიდა სისხლით დაეხმარნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხებს მოეშორებინათ უცხოელთა ფაშისტური უღელი და დაუბრუნეს მათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

არ არის და არც შეიძლება იყოს ხალხთა შორის იმაზე მტკიცე მეგობრობა, რომელიც გამოქედილია ხალხის ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლაში, რომელიც სამუდამოდ განმტკიცებულია ერთად დაღვრილი სისხლით. და მსოფლიოში არ